



აქაქი წარათლის
სახალმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

გერმანული ენა და ლიტერატურა

ქუთაისი
2011

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **გერმანული ენა და ლიტერატურა**
German Language and Literature

უმადლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში
Master in German Philology

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი ნანული კაკაურიძე

ტელ. +995-431- 24 44 86(სახლი)

+995-431- 24 67 48(დეპარტამენტი)

599 95 29 97(მობილური)

ელ.ფოსტა: germabtkutaissi@yahoo.de

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:

- აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრატურის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი.

- პროგრამის ანალოგთა ვებ-გვერდი.: www.hu-berlin.de
www.uni-bremen.de

mw6@ix.urz.uni-heidelberg.de

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

1. ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი გერმანისტიკაში;
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
3. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება გერმანულ ენასა და ლიტერატურაში.

პროგრამის მიზანი:

- სამაგისტრო პროგრამა გერმანულ ენასა და ლიტერატურაში გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს დარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა. მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება საქართველოს, ევროპის, კანადის წამყვან უნივერსიტეტებში: ბერლინის, ბრემენის, ჰაიდელბერგის, კიოლნის, დიუსელდორფის, იენის უნივერსიტეტებში (გფრ), დალჰაუზის უნივერსიტეტში (ჰალიფაქსი, კანადა).
სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას გერმანულ ენასა და ლიტერატურაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას გერმანული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-**დოქტორანტურაში**- სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები:

-ცოდნა და გაცნობიერება:

სტუდენტს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში: გერმანულ ენათმეცნიერებაში იგი დაეუფლება ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, გერმანული ენა) ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, შეიძენს ღრმა, დარგობრივ ცოდნას გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში გერმანული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (გერმანული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), დაეუფლება დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, ასევე სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის ტექნიკას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით(საკურსო შრომა, სამაგისტრო ნაშრომი) სტუდენტი შეიმუშავებს ორიგინალურ სამეცნიერო იდეას, გააცნობიერებს გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს.

-ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

გერმანულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შექმნით სტუდენტს ექნება კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში-სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა უნდა იყოს სკალირების C პირველი დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მას შეეძლება გერმანისტიკაში(ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის გერმანული ლიტერატურული ტექსტის (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-პოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტმცოდნეობითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძვლების გათვალისწინებით.

-დასკვნის უნარი:

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს შესძენს გერმანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარს, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევებს, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით გერმანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს. ყოველივე ამას ჩამოყალიბებს მას ცალკეული დისციპლინების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი, ასევე საკურსო და სამაგისტრო შრომები.

-კომუნიკაციის უნარი:

ძირითადი უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლით და დამატებით მეორე ევროპული ენის კარგი ფლობით მაგისტრანტი შეძლებს უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრი დაეუფლება გერმანული ფილოლოგიის დისციპლინების უახლესი მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, შეეძლება მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება. მას ეცოდინება სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეეძლება მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე შეეძლება მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, იგი შეძლებს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდის მიმართ მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდების გამოყენებას. მაგისტრი გაითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს.

-სწავლის უნარი:

მაგისტრანტს შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის

კრიტიკული გამოყენება, გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, გერმანული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდის გამოყენება.

-ღირებულებები:

მაგისტრს ექნება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეეძლება სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მას შეეძლება ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებული იქნება ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რაც ლიტერატურათმცოდნეობით და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძენს.

საგანმანათლებლო პროგრამაში/გერმანული ენა და ლიტერატურა/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსთან

ს ა გ ნ ე ბ ი		ტექსტის ლინგვისტიკა	ლინგვისტური სტილისტიკა	პრაგმატიკა	სოციოლინგვისტიკა	ძირითადი უცხო ენა (გერმანული)	ქართულ-გერმანული ლიტ. ურთიერთ.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	გერმანული რომანის ისტ. პოეტიკა	გერმანული დრამის ისტ. პოეტიკა	გერმანული ლირიკის ისტ. პოეტიკა	დას. ევრ. კრიტიკისა და ლიტ. მცოდნ.	მეორე უცხო ენა	გერმანული ფილოსოფია	სამეცნიერო წერის საფუძვლები	ენის სწ. თანამედროვე თეორიები	ლიტ. კვლევის თანამედრ. მეთოდები	სემინარი მწერალზე	ლიტ. სწავლების მეთოდები	შუქარებითი ლიტმცოდნეობა	თარგმანის თეორია	ფსიქოლინგვისტიკა	სამაგისტრო შრომა	საკურსო შრომა
	ცოდნა, გაცნობიერება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	ცოდნის პრაქტ. გამოყენების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	დასკვნის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	კომუნიკაციის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	სწავლის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	ღირებულებები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებული შეძლებს სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას დოქტორანტურაში, სამეცნიერო მოღვაწეობას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მუშაობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ანალიტიკურ საქმიანობას სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში, საგამომცემლო სფეროში, სარეკლამო და ტურისტულ სააგენტოებში, პრესცენტრებში, რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში, კულტურის სფეროში.

სწავლების მეთოდები

ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ელექტრონული სწავლება.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სასწავლო გეგმა

	დისციპლინის დასახელება	ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	დამოუკუღმებელი	კრედიტების რაოდენობა				საათების კვირეული განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით			
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	I კურსი		II კურსი	
										I სემ	II სემ	III სემ	IV სემ
	სავალდებულო კურსების მოდული												
1	სამეცნიერო წერის საფუძვლები	125	16	8	101	5				2			
2	ძირითადი უცხო ენა (გერმანული) 1	125		60	65	5				5			
3	ძირითადი უცხო ენა (გერმანული) 2	125		60	65		5				5		
4	ძირითადი უცხო ენა (გერმანული) 3	125		60	65			5				5	
	სპეციალიზაციის სასწავლო კურსები												
	გერმანული ენა												
1.	ტექსტის ლინგვისტიკა	125	26	10	89	5				3			
2.	ლინგვისტური სტილისტიკა	62,5	15	15	32,5		3				2		
3.	პრაგმატიკა (სპეცკურსი)	62,5	15	15	32,5		2				2		
4.	სოციოლინგვისტიკა	125	30	15	80			5				3	
	გერმანული ლიტერატურა												
1	გერმანული რომანის ისტორიული პოეტიკა	125	28	8	89	5				3			

2	გერმანული დრამის ისტორიული პოეტიკა	125	30	15	80		5				3		
3	გერმანული ლირიკის ისტორიული პოეტიკა	125	30	15	80			5				3	
4	დასავლეთევროპული კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის პრობლემური საკითხები	125	20	10	95			5				2	
5.	სემინარი მწერალზე	125	15	15	95			5				2	
კვლევითი კომპონენტი													
1	საკურსო ნაშრომი	125					5						
2	სამაგისტრო ნაშრომი	750							30				
არჩევითი კურსები													
						10	10	5		2+2	2+2	2	
1.	II უცხო ენა	125											
2.	II უცხო ენა	125											
3	გერმანული ფილოსოფია	125											
4.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	125											
5.	ენის სწავლების თანამედროვე თეორიები	125											
6.	ლიტერატურის სწავლების მეთოდები	125											
7.	თარგმანის თეორია	125											
8.	ფსიქოლინგვისტიკა	125											

9.	ლიტერატურის კვლევის თანამედროვე მეთოდები	125											
10.	ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობები	125											
11.	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	125											
	სულ	3000				30	30	30	30	17	16	17	

არჩევითი საგნებისათვის განკუთვნილია 25 კრედიტი. მაგისტრანტს შეუძლია I სემესტრში აირჩიოს 2საგანი (10 კრედიტი), II სემესტრში ასევე 2 საგანი (10 კრედიტი), III სემესტრში კი 1 საგანი (5 კრედიტი) .

სავალდებულო კურსების კრედიტთა საერთო რაოდენობა-60 კრედიტი
საკურსო და სამაგისტრო შრომა-35 კრედიტი
არჩევითი კურსების კრედიტთა საერთო რაოდენობა-25 კრედიტი

სულ: 120 კრედიტი

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

მაგისტრთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისადმი წაყენებული მოთხოვნები იხ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის N112 (10/11) დადგენილებაში “სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ. “

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

გერმანული ფილოლოგიის განყოფილებას აქვს მდიდარი მტერიალური რესურსი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. მატერიალური რესურსის უდიდესი ნაწილი შეძენილია გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის, DAAD-ს , DFG-ს ფინანსებით.

გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტების საკუთრივ მატერიალურ რესურსს შეადგენს:

- 10 კომპიუტერი
 - 2 PC
 - 2 ოვერჰედპროექტორი
 - 2 ქსეროკოპიის აპარატი
 - 2 სკანერი
 - 2 ტელევიზორი
 - 2 ვიდეომაგნიტოფონი
 - 4 CD PLAYER
 - 2 ფაქსის აპარატი
 - 1 პროექტორი (Bemer)
 - 2 სატელიტური მიმღები
 - 1 ვიდეო-DVD
 - კასეტები (ვიდეოთეკა)
- ასევე:
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრი
 - უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტს აქვს უახლესი სამეცნიერო (ასევე მხატვრული) ლიტერატურა გერმანულ და ქართულ ენებზე, რომელიც განთავსებულია დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

- პროფ. ნ.კაკაურიძე
- პროფ. ე. ქორიძე
- პროფ. ნ. გაგნიძე
- პროფ. ი. ცხვედიანი
- პროფ. მ. ებანოიძე
- ასოც. პროფ. ბ. ფორჩხიძე
- ასოც. პროფ. ი. ყიფიანი
- ასოც. პროფ. ი. შიშინაშვილი
- ასოც. პროფ. მ. ჭოლაძე
- ასოც. პროფ. ნ. ნასარიძე
- ასოც. პროფ. მ. ბაქრაძე
- ასოც. პროფ. ნ. ფხაკაძე
- ასისტ. პროფ. ნ. შარაშენიძე
- ასისტ. პროფ. თ. ნიჟარაძე
- ასისტ. პროფ. მ. ლომიძე
- ასისტ. პროფ. ნ. ჩარკვიანი
- დოქტ. რ. ცაილერი
- მასწ. მ. კუჭუხიძე
- მასწ. ქ. ჭელიძე